<u>შპს „ქართული ღვინის მარანი“ – ფინანსური ანგარიშგებს განმარტებითი შენიშვნები</u>

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „ქართული ღვინის მარანი“
400232618

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

<u>შპს „ქართული ღვინის მარანი“ – ფინანსური ანგარიშგებს განმარტებითი შენიშვნები</u>
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „ქართული ღვინის მარანი“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 11
4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის 11
5. ძირითადი საშუალებები 12
6. მარაგები 13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 13
8. ფული და ფულის ექვივალენტები 13
9. მიღებული სესხები 14
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 14
11. შემოსავალი 14
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 15
13. ბალანსის შემდგომი მოვლენები 15

ნ. ხუციანი

შპს „ქართული ღვინის მარანი“ – ფინანსური ანგარიშგებს განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „ქართული ღვინის მარნის“ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (შესადარისი პერიოდი - 31.12.2020 და 31.12.2019).

	N	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	8,231	63,923	30,797
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	349,681	102,209	185,430
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7	463,045	363,614	420,102
მარაგები	6	1,287,453	1,281,776	1,420,121
- მზა პროდუქცია		6,116	27,046	80,933
- სხვა		1,281,337	1,254,730	1,339,188
სხვა მოკლევადიანი აქტივები		75,704	500	
ძირითადი საშუალებები	5	168,400	132,855	47,611
სულ აქტივები		**2,352,514**	**1,944,877**	**2,104,061**
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	469,804	469,804	624,919
ანარიცხები		573	573	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	0	0	855
საგადასახადო ვალდებულებები	10	43,255	56,242	43,834
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	9	222,815	203,140	788,316
სხვა ვალდებულებები	10	184,678	231,799	263,069
სულ ვალდებულებები		**1,311,047**	**961,558**	**1,720,993**
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,041,467	983,319	383,068
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,041,467**	**983,319**	**383,068**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**2,352,514**	**1,944,877**	**2,104,061**

ბ. ხუციანი

შპს „ქართული ღვინის მარანი“ – ფინანსური ანგარიშგებს განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „ქართული ღვინის მარნის“ 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.

	N	2021	2020
ნეტო ამონაგები		**4,736,655**	**4,804,428**
საქონლის გაყიდვიდან	11	4,623,886	4,797,446
მომსახურების გაწევიდან	11	112,769	6,982
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		**-3,128,138**	**-2,985,929**
საერთო მოგება		**1,608,517**	**1,818,499**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		4,438	
დასაქმებულთა ანაზღაურება		-637,377	-439,393
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-60,102	-22,820
საპროცენტო ხარჯი		-38,944	-69,420
იჯარის ხარჯი		-103,780	-74,291
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	-539,121	-563,122
სულ საოპერაციო ხარჯები		**-1,374,886**	**-1,169,046**
საოპერაციო მოგება		**223,631**	**649,453**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-63,360	-47,153
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-108,566	2,206
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		**61,705**	**604,506**
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი		-3,557	-4,255
საანგარიშგებო პერიონის მოგება/(ზარალი)		**58,148**	**600,251**
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		983,319	383,068
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**1,041,467**	**983,319**

ბ. ხუციანი

<u>შპს „ქართული ღვინის მარანი“ – ფინანსური ანგარიშგებს განმარტებითი შენიშვნები</u>
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შპს „ქართული ღვინის მარნის“ 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	61,832	140,813
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-110,939	-102,208
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**-49,107**	**38,605**
სავალუტო კურსის ეფექტი	-6,585	-5,479
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	63,923	30,797
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8,231**	**63,923**

ბ. ხუციანი

შპს „ქართული ღვინის მარანი“ – ფინანსური ანგარიშგებს განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართული ღვინის მარანი“ (400232618) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმლით, ღვინის წარმოება და ექსპორტი. კომპანია დაფუძნდა 2018 წელს. დამფუძნებელი, 80%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არის ბექა ხერგიანი (პ/ნ 01020006187). კომპანიის მეორე დამფუძნებელი, 20%-იანი წილის მფლობელი არის იოსებ გიორგიძე (პ/ნ 01007001808)

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, თელავის რაიონი, სოფ. კურდღელაური

ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ე. ჩერქეზიშვილის ქ.17

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს)** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. კომპანია დაფუძნებისთანავე ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ. ხერგიანი

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.
მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.
უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.
2021, 2020, წლის 31 დეკემბერსა და 2020 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვრისათვის	2.8661	3.2143

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.
ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.
ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

ბ. ხუციანი

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-9 წლით.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

ბ. ხუციანი

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.
საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.
საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.
ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

ბ. ხუციანი

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ნ. ხუციანი

3. **ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. **კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის**

კომპანიას არ განუხორციელებია კორექტირება 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის.

ნ. ხუციანი

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა-დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	**40,331.42**	**8,074.09**	**29,034.78**	**46,236.21**	**51,737.13**	**175,413.63**
შემოსვლა	82,274.98	7,998.11	9,647.42	30,000	100,672.33	230,592.84
გასვლა	-13,173.28			-24,710.01	-147,527.29	-185,410.58
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	**109,433.12**	**16,072.20**	**38,682.20**	**51,526.20**	**4,882.17**	**220,595.89**
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	**3,391.06**	**1,185.32**	**2,713.78**	**32,296.74**	**2,971.31**	**42,558.21**
ცვეთა	15,944.42	2,197.02	6,403.61	13,050.14	22,506.40	60,101.59
გასულების დაგროვილი ცვეთა	-1,097.77			-24,710.01	-24,656.18	50,463.96
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	**18,237.71**	**3,382.34**	**9,117.39**	**20,636.87**	**821.53**	**52,195.84**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	**36,940.36**	**6,888.77**	**26,321**	**13,939.47**	**48,765.82**	**132,855.42**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	**91,195.41**	**12,689.86**	**29,564.81**	**30,889.33**	**4,060.64**	**168,400.05**

ნ. ხუციანი

6. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2021, 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	1,265,620.63	1,228,676.75
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
მზა პროდუქცია	6,116.23	27,045.50
სხვა მარაგები	15,716.13	26,053.58
სულ	**1,287,452.99**	**1,281,775.83**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021, 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	349,681.05	102,209.45
გაცემული სესხები	149,000.00	
გადახდილი ავანსები	314,044.99	363,613.85
სულ	**812,726.04**	**465,823.30**

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021, 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაღდი ფული	7,606.62	9,810.01
ფული საბანკო ანგარიშებზე	624.27	54,113.29
სულ	**8,230.89**	**63,923.30**

ნ. ხუციანი

9. მიღებული სესხები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები 2021, 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	222,815	203,140
სულ	**222,815**	**203,140**

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021, 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	859,725.65	469,804.39
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
მიღებული ავანსები	31,242.89	121,799.61
საგადასახადო ვალდებულებები	43,254.94	56,241.67
გადასახდელი პროცენტი	130,879.85	101,558.41
სულ	**1,065,103.33**	**749,404.08**

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლები 2021 და 2020 წლისათვის შედგება ადგილობრივი გაყიდვებისა და ექსპორტისგან.

	2021	2020
შემოსავალი ადგილობრივი გაყიდვებიდან	1,146,576.26	255,097.95
შემოსავალი ექსპორტიდან	3,477,309.62	4,542,347.41
შემოსავალი მომსახურებიდან	112,769.00	6,982.40
სულ	4,736,654.88	4,804,427.76

ნ. ხუციანი

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ზედნადები ხარჯი	171,499.61	62,494.60
რეკლამის ხარჯი	29,136.59	44,618.10
ტრანსპორტირების ხარჯი	178,419.69	350,299.59
მიწოდების სხვა ხარჯი	10,665.35	16,734.82
ავტომანქანის ხარჯი	7,983.02	4599.04
წარმომადგენლობითი ხარჯი	7,575.47	6,574.50
საბაჟო პროცედურები	4,500.88	4,500.88
საკონსულტაციო ხარჯი	6,358.57	7,600
დღგ-ს ხარჯი	3,449.79	4,633.96
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	58,277.10	25,223.45
მივლინების ხარჯი	11,166.80	3,235.11
საბანკო ხარჯი	7,867.41	7,939.61
სხვა საერთო ხარჯები	42,221.57	24668.68
სულ	539,121.85	563,122.34

13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.